# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · ორშაბათი, 24 ივნისი 1996 № 57 (282) · ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ოთხეულის სამიტი

## გერმანია 2 — 1 ხორვატია

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | კეპკე | 1 | ლადიჩი |
| 2 | როიტერი | 3 | იარნი |
| 5 | ჰელმერი | 4 | სტიმაჩი |
| 6 | ზამერი | 5 | იერნაკი |
| 14 | ბაბელი | 6 | ბილიჩი |
| 7 | მიოლერი | 2 | იურჩევიჩი |
| 8 | შოლი | 7 | ასანოვიჩი |
| 17 | ციგე | 10 | ბობანი |
| 21 | აილტსი | 13 | სტანიჩი |
| 9 | ბობიჩი | 9 | შუკერი |
| 18 | კლინსმანი | 19 | ვლაოვიჩი |

შეცვლა: კლინსმანი — 4 ფროინდი (39), ბობიჩი — 11 კუნცი (46), იურჩევიჩი — 16 მლადენოვიჩი (77)

გაფრთხილება: ზამერი, კლინსმანი, სტიმაჩი

გაძევება: სტიმაჩი

1:0 კლინსმანი (პ 22), 1:1 შუკერი (51), 2:1 ზამერი (58)

მსაჯი: ლ. სუნდელი (შვედეთი)

23 ივნისი. „ოლდ ტრეფორდი"

უშელავათო პირველი წამები... ხორვატები პრესინგს ცდილობენ, მეტოქის საჯარიმოსთანვე ლამობენ ბურთის მოხელთებას... გერმანელები თავადაც საბრძოლველად არიან განწყობილნი (ან როდის არ ყოფილან), მაგრამ ხორვატთა ძალუმ ენთუზიაზმს, ეტყობა, მაინც არ ელოდნენ, ყოველ შემთხვევაში, თამაშის შუა მოედანში ან იქითა ნახევარზე გადატანა იოლად არ გამოუდით. საგანგებო მომენტი კი არ ყოფილა. ასე გაიარა ათმა წუთმა. არაფერს სჯობსო და, მიოლერმა შორიდან დაარტყა.

მე-19-ზე გულმაგარმა ექს-იუგოსლავიელებმა დიდებული შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. ასეთი ეპიზოდი იყო: კეპკემ მარცხენა ძელის სიახლოვეს მეტოქის ფორვარდს ფინტი ჩაუტარა და ამგვარადღა განმუხტა მდგომარეობა, მაგრამ ბურთი ისევ საჯარიმოს დაუბრუნდა, აქ ვლაოვიჩს დერეფანი შეექმნა, შევიდა, მაგრამ ანგარიში ვერ გახსნა. სამ წუთში კი მათიას ზამერი საპირისპირო საჯარიმოში შეიჭრა, მარჯვენა მხრიდან მას პასი მეჰმეთ შოლმა მიაწოდა, იერკანმა კი ფონს ცულლუტობით გასვლა მოიწადინა და მარცხენა ხელი გაჰკრა ბურთს. შვედმა არბიტრმა ლუიფ სუნდელმა შენიშნა ხორვატის ვირეშმაკობა და თითი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა: იურგენ კლინსმანი უბადლო იყო — 1:0.

25-ე წუთზე დაუდგრომელმა დავორ შუკერმა სიღრმიდან პასი მიიღო, არ გააჯანჯლა, დაარტყა, თუმცა კეპკემ აუღო. ძნელი საქმე არ იყო პოზიციის სწორედ შემრჩევი მეკარისთვის, მაგრამ ყველაფერი დინამიურად და ამდენად ლამაზად შესრულდა. 29-ზე მახვილი კუთხიდან შუკერი შედიოდა, მაგრამ კვლავ კეპკემ იმარჯვა ფეხით. აქედან ათი წუთის შემდეგ გერმანელებმა გაშალეს ლამაზი კომბინაცია: აილტსი-ჰელმერი (მარცხნიდან ჩაწოდება) — კლინსმანი-ბობიჩი (მაკრატელასებური დარტყმა) — ბურთი კარს აცდა. ცოტა ხანში მაღალი ბურთის კარში გასატანად ბობიჩი და ციგე ახტნენ. ერთმანეთს შეეტაკნენ და ვერ ისარგებლეს. იქვე, რატომღაც განრისხებულმა ბილიჩმა ციგეს წიხლი უთავაზა.

პირველი ნახევრის ერთ-ერთი მთავარი მომენტი, აგრეთვე, კლინსმანის ტრავმა და მოედნიდან გასვლა იყო. გერმანელმა ვარსკვლავმა, ცოტა რომ მოიშუშა ნატკენი, თამაშის გაგრძელება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო და 39-ზე ფროინდით შეცვალეს.

მეორე ტაიმიც ხორვატთა შეტევით დაიწყო. ბობანის ახლო პასით შუკერმა შემობრუნებით დაარტყა, მაგრამ კეპკე (ცოტა უცნაურად) დაეუფლა ბურთს. 51-ე წუთზე კი ანგარიში გათანაბრდა. ზამერმა, მთელი მატჩი დიდებულად რომ ჩაატარა, ბურთი მოედნის სიგანეზე ათრია, მერე ფროინდს მიუგორა, რადგან თავად მას უკვე ართმევდნენ, მაგრამ ვერც ფროინდმა დაიკავა, იურჩევიჩმა წაართვა და შუკერს მიაწოდა, მან კი ბურთზე ფეხის გული კოხტად გადაატარა, რითაც ჩაწოლილი კეპკეც ჩამოიტოვა და ცარიელ კარში შეაგდო.

---

**ზურაბ ფოცხვერია, დავით კაკაბაძე**
**მანჩესტერიდან**

ამ ამბიდან ხუთი წუთი იყო გასული, სტიმაჩმა შოლი რომ მოცელა. ეს „დერბი ქაუნთის" მოთამაშის მეორე თვალსაჩინო უხეშობა გახლდათ და ჰაერში უმალ წითელმა ბარათმა გაიელვა.

საკმარისი იყო, რიცხობრივი უპირატესობა მოეპოვებინათ და დაუნებებელი ზამერის გუნდმა სულ 120 წამში შეცვალა ანგარიში. გოლი თავად მწითურმა ყოფილმა გდრ-ელმა შეაგდო, რომელსაც მარჯვნიდან ბაბელის პასი მიუვიდა. მათიასმა საჰაერო ბრძოლაში ბილიჩი დაჩაგრა, ბურთის დაგდება და გასწორებაც მოასწრო და ზუსტადაც დაარტყა. აქედან მოყოლებული თამაშს ერთი სიტყვით ასე შეიძლება ვუწოდოთ — ბრძოლა. ცხადია, რაც აქამდე აღვწერეთ, ისიც ბრძოლა (თანაც უშელავათო) გახლდათ, მაგრამ ბოლოსკენ ლაღი ალარაფერი მომხდარა. მეტნაკლები სიმწვავისა კი მოუსვენარი შუკერის ოთხი და შოლის ერთი დარტყმა გახლდათ.

ხორვატთა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა მატჩის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: „უპირველესად, ვულოცავ გერმანელებს ნახევარფინალში გასვლას. ჩვენ შეგვეძლო ამ მატჩის მოგება, მაგრამ მსაჯის შეცდომებმა არ მოგვცა ამის საშუალება."

მას ჰკითხეს, თქვენ განაცხადეთ, მეოთხედფინალში გერმანიის ნაკრებთან გვირჩევნია შეხვედრა, ახლა კი ხომ არ ნანობთ, რომ პორტუგალიელებთან დამარცხდით და მეტოქედ გერმანიის ნაკრები შეგხვდათო. არა — უპასუხა ბლაჟევიჩმა — მე ახლაც ვთვლი, რომ გერმანელებთან შეხვედრა გვერჩივნა

დავორ შუკერი (მან პირველი გოლი გაუტანა გერმანელებს ამ ტურნირში): „ჩვენ შეგვეძლო გერმანელთა დამარცხება. პირველი 25 წუთი ჩვენ სტილში ვითამაშეთ. მართალია, მსაჯმა ჩვენს კარში სამართლიანად დანიშნა პენალტი, მაგრამ მეტოქის კარშიც, სულ ცოტა, ორჯერ შეეძლო თერთმეტმეტრიანის დანიშნა."

გერმანელებს თავად თავსატეხი გაუჩნდათ: ინგლისელებთან ნახევარფინალურ მატჩში ველარ ითამაშებს მათი კაპიტანი იურგენ კლინსმანი, რომელსაც ფეხის კუნთის ქსოვილი გაუწყდა. პრეს-კონფერენციაზე კლინსმანმა განაცხადა: „ამნაირად ჯერ არასოდეს დავშავებულვარ. ამბობენ, ამ ტრავმის მკურნალობას ათი დღე სჭირდებაო. სამწუხაროდ, ბედი არ გვწყალობს — კოლერი, ბასლერი, მერე შტრუნცის წითელი ბარათი... მაგრამ ახლა ნახევარფინალზე უნდა ვიფიქროთ და თუ ფინალში გავედით, იმ დროისთვის იქნებ მეც მოვმჯობინდე"

მხარი იტკინა გერმანელთა მეორე ფორვარდმა ბობიჩმა. მატჩის მერე იგი საავადმყოფოში წაიყვანეს რენტგენის გადასაღებად.

გერმანელთა მწვრთნელი ბერტი ფოგტსი: „ვულოცავ ჩემს ფეხბურთელებს ევროპის უძლიერესი გუნდების ოთხეულში გასვლას. მართალია, თამაშისას ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ საბოლოოდ მაინც მივაღწიეთ საწადელს. ძალიან კმაყოფილი ვარ ზამერის თამაშით. ინგლისელებს სიხარულის მიზეზი აქვთ: მათთან ნახევარფინალურ შეხვედრაში კლინსმანი ნამდვილად არ ითამაშებს და შესაძლოა ვერც ბობიჩი დაჩგეს მწყობრში."

მათიას ზამერი: „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ნახევარფინალში გავედით, მაგრამ ჩვენი თამაშით უკმაყოფილო გახლავარ. ჩვენ მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ თამაში, თუ წარმატების მიღწევა გვინდა."

---

**მათიას ზამერს სამივე გოლში ედო წილი. ჯერ პენალტი დაიმსახურა, მერე შეცდა და შუკერის გოლს დაუდო სათავე. ბოლოს კი თავადაც გაიტანა და გერმანელთა გამარჯვება უდაო გახადა. ეს უკვე ზამერის მეორე გოლი იყო ევროპის ჩემპიონატზე. ტყუილად როდი ეძახიან მას ახალ ბეკენბაუერს.**

**თუკი ვინმეზე ითქმის, ამ ჩემპიონატის აღმოჩენააო, ეს კარელ პობორსკია. მისმა შესანიშნავმა თამაშმა ჯერ იყო და იტალია შეიწირა, გუშინდელმა ბრწყინვალე გოლმა კი პორტუგალიელები გაისტუმრა შინ. არა გვგონია პობორსკის ისევ პრაღის „სპარტაში" მოუწიოს თამაშმა.**





### „სარბიელის" რჩეულნი





**დიდი ტვინის ჭყლეტა არ არის საჭირო. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე იყო ის, ვინც თავისი გუნდი ნახევარფინალში გაიყვანა. ასეთი კი ინგლისელთა გოლკიპერი დევიდ სიმენი გახლდათ. ვფიქრობთ, მის მიერ მოგერიებული პენალტები გულშემატკივარს საბოლოოდ დაავიწყებს ყბადაღებულ ნაიმის გოლს.**

**ძალიან გაგვიჭირდა მატჩის საუკეთესო მოთამაშის დასახელება. ბოლოს ჩვენი არჩევანი საფრანგეთის ნაკრების ცენტრალურ მცველზე ლორან ბლანზე შევაჩერეთ, რომელსაც, მართალია, განსაკუთრებული არაფერი ჩაუდენია, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, უხეშ შეცდომებს ნაკლებად უშვებდა.**

---

### ნახევარფინალები

26 ივნისი. მანჩესტერი. 20 საათი
**საფრანგეთი — ჩეხეთი**
26 ივნისი. ლონდონი. 23.30 საათი
**ინგლისი — გერმანია**

ნახევარფინალებისა და ფინალისთვის მსაჯთა ბრიგადების შემადგენლობა უკვე გამოქვეყნდა: შოტლანდიელები ლესლი უილიამ მოტრემის, უნგრელები შანდორ პულის და იტალიელები პიერლუიჯი პაირეტოს ხელმძღვანელობით. ის, თუ რომელი ბრიგადა რომელ მატჩს იმსაჯებს, ჯერჯერობით უცნობია.

---

**ზურაბ მექველია**
**ლონდონიდან**

მკითხველს უნდა მოვუბოდიშოთ და ვთხოვოთ გაგვიგოს. ბირმინგემის „ვილა პარკზე" მყოფ დავით მჭედლიშვილს ლონდონისკენ მომავალ მატარებელზე ისე ეჩქარებოდა, რომ მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე ვერაფრით დარჩებოდა, მე კი ლონდონიდან ბირმინგემისკენ საერთოდ ვერ გავყევი ცხვირი. მიზეზი ერთობ ტრაგიკული გახლდათ... კბილის ტკივილმა რამდენიმე დღე სულ კედლებზე მატარა, ბრიტანეთში კი დანტისტთან მისვლა საშინლად ძვირია. ჩემდა ბედად, სხვადასხვა გზებით (რა ვართ მაინც ეს ქართველები) უფასო მკურნალი გამოიძებნა, მაგრამ მასთან ან გუშინ უნდა მივსულიყავი ან... კბილი ხომ გტკივაო?

ამიტომაც იყო, რომ ჩეხებისა და პორტუგალიელების პაექრობას მეც თქვენსავით ტელევიზიით ვუცქირე. აქაურ ტელევიზიაში კი მატჩის შემდეგ ცნობილი ხალხი გამოჰყავთ და ნანახს არჩევინებენ. გუშინ რუუდ გულიტი და ყოფილი ლივერპულელი ალან ჰანსენი იყვნენ.

„ჩელსის" ჰოლანდიელი მოთამაშე-მწვრთნელის აზრი ასეთი გახლდათ: თამაში პობორსკის გოლმა დაამთავრა. ამის შემდეგ პორტუგალიელები დაიბნენ და ყველა ინდივიდუალურ მოქმედებაზე გადავიდა. მოიშალა სათამაშო სქემა, არადა, კლასის მაჩვენებელი სწორედ ესაა. მერე რა, რომ გოლი გაუშვი, ხდება ხოლმე, ასეთ დროს პირიქით, მობილიზება უნდა შეძლო და გონებაში ამოიჭრა, რომ ახლა შენი ერთადერთი მიზანი გაქვთაა. გაიხსენეთ, თამაშის მიწურულს ჟოაო პინტუ სამჯერ მხოლოდ იმიტომ დაჯარიმდა, რომ გაბრაზდა. განა შეიძლებოდა ამგვარ კრიტიკულ მომენტში ნერვებს აყოლა?

ალან ჰანსენი: თამაში მსაჯმა გააფუჭა. ამდენი ბარათების ჩვენება ნამეტანი იყო. ყველა არბიტრს უნდა ახსოვდეს, რომ მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი, სადაც ხალხი თამაშებს იმიტომ ესწრება, რომ ვარსკვლავები იხილოს და არა მათი შემცვლელები. ახლა, ნახევარფინალში ჩეხთა ლამის ნახევარი გუნდი ვერ ითამაშებს.

რუუდ გულიტი: საერთოდ, ვფიქრობ, ასეთ ხანმოკლე ტურნირზე მოთამაშე ორი ყვითლის შემდეგ არ უნდა სტოვებდეს შეხვედრას. მაგალითად, ინგლისის ნაკრებში ყველა გაფრთხილებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნახევარფინალში ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად შეზღუდულნი იქნებიან.

მართლაც, თამაში ჰელმუტ კრუგის მიერ სუხოპარეკისთვის ნაჩვენები ყვითლით

## ჩეხეთი 1 — 0 პორტუგალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | კოუბა | 1 | ბაია |
| 3 | სუხოპარეკი | 2 | სეკრეტარიუ |
| 5 | კადლეცი | 5 | კოუტუ |
| 15 | ჰორნიაკი | 13 | დიმაში |
| 2 | ლატალი | 16 | ჰელდერი |
| 6 | ნემეჩეკი | 4 | ოსეანუ |
| 7 | ნემეცი | 10 | კოშტა |
| 8 | პობორსკი | 19 | სოუზა |
| 9 | კუკა | 20 | ფიგუ |
| 17 | შმიცერი | 8 | პინტუ |
| 13 | ბეიბლი | 9 | სა პინტუ |

შეცვლა: სა პინტუ — 15 დომინგუში (65), ოსეანუ — 18 ფოლია (65), ფიგუ — 11 კადეტე (82), შმიცერი — 12 კუბიკი (85), ნემეჩეკი — 14 ბერგერი (90)

გაფრთხილება: სუხოპარეკი, ჰელდერი, შმიცერი, სა პინტუ, ლატალი, ბეიბლი, სეკრეტარიუ, კუკა, პინტუ

გაძევება: ლატალი

1:0 პობორსკი (53)

მსაჯი: ჰ. კრუგი (გერმანია)

23 ივნისი. „ვილა პარკი"

დაიწყო. თავიდან პორტუგალია მეტად ეთამაშებოდა ჩეხთა საჯარიმოს, მაგრამ მალე ყოფილმა სოციალისტებმა ორი ტყუპი ჯარიმა შეასრულეს მარჯვენა ფრთიდან და თუმცა დიდი არაფერი მომხდარა, გამოჩნდა, რომ არც ჩეხეთია ჯაბანი. დაგვეთანხმებით, შეხვედრა დიდი სიმწვავითა და სილამაზით არ გამოირჩეოდა. იყო ხოლმე ისეთი ეპიზოდები, სახიფათო მომენტი რომ ეთქმის, მაგრამ მაინც არც ისე სახიფათოა.

> **რუუდ გულიტი: თამაში პობორსკის გოლმა დაამთავრა. ამის შემდეგ პორტუგალიელები დაიბნენ და ყველა ინდივიდუალურ მოქმედებაზე გადავიდა.**

თუ პირველი ტაიმი პერიოდულად, პორტუგალიელთა გამადიდებელ შუშით შესამჩნევი უპირატესობით მიმდინარეობდა, მეორე ისეთივე, ოღონდ უფრო ჩეხებისა იყო. მაგრამ ამ უსახურ შეხვედრაში ერთი ისეთი გაელვება მოხდა, მთელ 90 წუთად რომ ღირდა. ცხადია, 53-ე წუთზე პობორსკის მიერ გატანილ გოლზეა საუბარი. ეს ინდივიდუალიზმის, დახვეწილი ოსტატობისა და აზროვნების გაბრწყინება გახლდათ. „სლავიას" 24 წლის ნახევარმცველმა ბურთი რომ მიიღო, გარს ოთხი მოწინააღმდეგე ერტყა. მან ოთხივე ჩამოიცილა, ჩასრიალებულ მეხუთეს დაასწრო, თანაც შენიშნა,

> **ალან ჰანსენი: არბიტრს უნდა ახსოვდეს, რომ მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი, სადაც ხალხი თამაშებს იმიტომ ესწრება, რომ ვარსკვლავები იხილოს და არა მათი შემცვლელები.**

რომ გოლკიპერი წინ იყო გამოსული და უმსუბუქესი შესრულებით ბურთი თავზე გადაუგდო. ევროპის ჩემპიონატში, სხვა რომ აღარაფერი მოხდეს, მარტო ამ გოლით დაამახსოვრდება გულშემატკივარს.

თამაშზე ჩემგან მეტის თქმა უპრიანი ალბათ ვერ იქნება, თუმცა მას, ბუნებრივია, უახლოეს ნომერში მივუბრუნდებით. მას მერე, რაც აქაურ პრესასაც გავეცნობით და ნახევარფინალურ ჰაერსაც ღრმად ჩავისუნთქავთ. მთავარია, რომ კბილი აღარ მაკვლებს...

# სიკვდილი ცოტას მოიცდის

## საფრანგეთი 0 (5) — 0 (4) ჰოლანდია

ზურაბ ფოცხვერია,
დავით კაკაბაძე
ლივერპულიდან

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ლამა | 1 | ვან დე სარი |
| 5 | ბლანი | 18 | დე კოკი |
| 15 | ტურამი | 2 | რაიციგერი |
| 12 | ლიზარაზუ | 5 | ბოგარდი |
| 8 | დესაი | 3 | ბლინდი |
| 7 | დეშამი | 6 | დე ბური |
| 19 | კარემბუ | 17 | კრუიფი |
| 6 | გერენი | 14 | ვიჩხე |
| 9 | ჯორკაეფი | 20 | კოკუ |
| 10 | ზიდანი | 9 | კლუივერტი |
| 11 | ლოკო | 10 | ბერხკამპი |

**შეცვლა:** ბერხკამპი — 4 ზეედორფი (60), ლოკო — 13 დუგარი (62), კრუიფი — 12 ვინტერი (69), ვიჩხე — 19 მულდერი (81), დუგარი — 18 პედროსი (81)

**გაფრთხილება:** დეშამი, კარემბუ, დე კოკი, ბოგარდი, კლუივერტი

**პენალტები:** 0:1 დე კოკი, 1:1 ზიდანი, 1:2 დე ბური, 2:2 ჯორკაეფი, 2:3 კლუივერტი, 3:3 ლიზარაზუ, 3:3 ზეედორფი (მეკარე), 4:3 გერენი, 4:4 ბლინდი, 5:4 ბლანი

**მსაჯი:** მ. ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

22 ივნისი. „ენფილდ როუდი"

ჰოლანდია — საფრანგეთის მეოთხედფინალური მატჩი მეცხრე შეხვედრა იყო, რომელსაც უშუალოდ დავესწარით და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სწორედ შაბათს, ლივერპულის „ენფილდ როუდზე" გავხდით ყველაზე ულიმღამო, მოსაწყენი სანახაობის მოწმე. 120 წუთის მანძილზე გუნდებმა ვერაფერი გვიჩვენეს ისეთი, რითაც თავს დაგვამახსოვრებდნენ. თუ ჰოლანდიელებს მაინცდამაინც არც ჯგუფურ ტურნირში გამოუჩენიათ თავი, ფრანგებისგან ასეთი თამაში საკმაოდ მოულოდნელი იყო — წინა სამ შეხვედრაში მათ აშკარად უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს.

თამაშის პირველ 20 წუთში მეტოქეებმა თითქმის ტოლ-სწორად შეუტიეს. ამ ხნის მანძილზე სულ 2-2-ჯერ შეაწუხეს ერთურთი. ჯერ კლუივერტს გაექცა საჯარიმოში ბურთი, მერე კი ჯორკაეფმა ვერ დაიმორჩილა. ამას მოჰყვა კარემბუს მიერ თავით აცილებული ჯარიმა, რაშიც მას რონალდ დე ბურმაც მიბაძა, ოღონდ ამან კუთხურიდან მოწოდებულს დაუხვედრა თავი უხეიროდ. ამ ოცწუთიან თანაბარ მონაკვეთს ასევე გაგრძელება აღარ ეწერა. ტაიმის ბოლომდე საგრძნობლად დომინირებდნენ ფრანგები, თუმცაღა თავისი უპირატესობა გოლში ვერ გარდასახეს. პირველი ნახევრის ბოლო 25 წუთში ჰოლანდიელებმა მხოლოდ ორჯერ უხერხულად „უჩხვლიტეს" ფრანგებს, დანარჩენ დროს კი სტატისტობას სჯერდებოდნენ. მხოლოდ ერთი, კლუივერტი იყო ჰოლანდიელთაგან, ვინც ღირსეულად ირჯებოდა, თუმცა ვერც ამან და ვერც ბერხკამპმა ვერა გააწყვეს რა. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ფრანგების დაცვა დესაის წინამძღოლობით იშვიათად ცდებოდა. მათი შუა თუ ლოკოს იმედად მყოფი წინა ხაზი უცოდველი ნამდვილად არ იყო, მაგრამ სანაცვლოდ ფრანგთა მასირებული შეტევები ჰოლანდიელებს წინ გასვლის საშუალებას არ აძლევდა.

23-ე წუთზე კარემბუმ ჯერ მცველს მოარტყა, ახლეტილი კი ააცილა. 32-ზე ამ უკანასკნელმა და ზიდანმა ისეთი კომბინაცია გაითამაშეს, მეტოქე სახტად დატოვეს, თუმცა ეს ეპიზოდი გოლით მაინც არ დაგვირგვინდა. 3 წუთში ვერც ჯორკაეფმა შესძლო შორიდან ედვინ ვან დერ სარის კარის აღება. 37-ე წუთზე კი ამის ძალზე რეალური შანსი იყო: მოედნის სიღრმიდან პასის დროს დე კოკი წაბორძიკდა, ლოკომ დარტყმას რატომღაც უკან პასი ამჯობინა და... გერენიც წაიქცა. წუთის შემდეგ ლოკომ სწორედ კი გათვალა, ბოგარდსაც აჯობა და შემოტრიალებით შორეული კუთხისკენ გაგზავნა, მაგრამ ბურთი ისევ აცდა კარს, ამჯერად სულ მცირე მანძილით. ტაიმი მაინც ჰოლანდიელთა შეტევით გასრულდა: ბერხკამპის დაგორებული კოკუმ ააცილა. ამდენი შეცდომების შემხედვარე ვერც იფიქრებდით, რომ ტაიმი სხვა შედეგით დამთავრდებოდა. რაკი საუბარი შეცდომებზე ჩამოვარდა, ორიოდე სიტყვაც მატჩის 23-ე მონაწილეზე — ესპანელ არბიტრ ნიეტოზე. მინდორზე მყოფი ფეხბურთელების მსგავსად, ისიც წამდაუწუმ არასწორ გადაწყვეტილებებს იღებდა ჯარიმებისა თუ კუთხურების დანიშვნისას, ხშირად დამნაშავის სასარგებლოდ აჩერებდა თამაშს. მოკლედ, არბიტრმაც თავისი წილი დაიდო იმაში, რომ ჰოლანდია — საფრანგეთის მეოთხედფინალური მატჩის მდარე ხარისხის შეხვედრათა რიცხვში მოვიხსენიებთ. ერთ მომენტში კი მსაჯი ისე შეცდა, ის ეპიზოდი ცალკე აღნიშვნის ღირსია. 39-ე წუთზე დესაის თავით მოგერიებული ბურთი ხელზე ჩამოუგორდა. ეს საჯარიმოში მოხდა ნიეტომ კი პენალტის ნაცვლად ჯარიმა დანიშნა, რომელიც კოკუმ ისე დაარტყა, კედლიდან ასხლეტილი კარის ძელს რომ არ მოხვედროდა ანგარიშსაც გახსნიდა.

თამაშის მეორე ნახევარშიც საგრძნობი იყო ფრანგების ძალა. თუმცა, მართალი უნდა ითქვას, ეს გუნდი არ ჰგავდა ჯგუფურ ტურნირში ლაღად და თავდაჯერებით მოთამაშე სამფეროვანთა ნაკრებს. და მაინც, ისინი უფრო უტევდნენ. თუმცა, „საქმის დახურვის" შანსი ჰოლანდიელთაგან შეცვლაზე შემოსულ ზეედორფს მიეცა. ვიდრე ამ მომენტს მივადგებოდეთ, მოკლედ წინა ეპიზოდებზეც ვთქვათ. მეორე ტაიმის პირველ წუთებზევე გერენმა ორჯერ მოახერხა თავისი გუნდის შეტევების ჩაშლა. ჯერ ჯორკაეფის პასით ააცილა, მერე კი დარტყმის მაგივრად ჩააწოდა. 63-ე წუთზე ზიდანს ჯარიმა გაუცუდდა, 67-ზე კი ლოკოს ნაცვლად შემოსული დუგარის მიერ ზედ პირითი ხაზიდან ჩაწოდებული ვან დერ სარმა გააუვნებელყო. ბოლოს ჰოლანდიელებიც გააქტიურდნენ. ზეედორფის პასით კლუივერტი ურტყამდა, მაგრამ არაფერი... ბოლო წუთზე იმავე ზეედორფმა მულდერის კარგი პასი ვერ გამოიყენა და ლამას თავზე ვერ გადაუგდო. ეს ამ თამაშში გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი გახლდათ და რადაი გაცუდდა, თამაშსაც დრო დაემატა, ახალი წესით, პირველ ანუ „ოქროს გოლამდე". ეს ახლახან შემოღებული „უეცარი სიკვდილის" მეორე შანსი იყო — მეოთხედფინალის პირველ მატჩშიც ხომ დამატებითი დრო დაინიშნა. ამ ახლებურმა წესმა გუნდებს შეტევის საშუალება ნაკლებად მისცა. ხუმრობა როდია, მთელი 90 წუთისა და მერე დამატებულის ნაჯაფარი უცაბედად წყალში ჩაგეყაროს. არადა, ხომ შესაძლოა, დამატებით დროში გაშვებულს შენც გოლითვე უპასუხო. როგორც ვნახეთ, ისაც ბუნებრივია, ვერცერთმა გაიტანოს და საქმე პენალტებამდე მივიდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში გუნდებს გული მაინც ნაკლებად უნდა დასწყდეთ, რადგან უძლეველობის ილუზია მაინც რჩებათ. პენალტებით კი, აბა, ვის არ წაუგია. ეს ხომ ლატარია, ფსიქიკის გამოცდაა. ამ გამოცდას კლარენს ზეედორფმა ვერ გაუძლო, ისევე, როგორც ჩემპიონთა თასის ფინალში დევიდსმა. ახლა კლარენსიც დევიდსის გზას გაუყვება, ოღონდ თავის 20 თანაგუნდელთან ერთად. ძნელი სათქმელია, გუს ჰიდინკი მასაც დასტებს თავს რისხვას თუ არა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ჰოლანდიელთა მწვრთნელმა მატჩის შემდეგ თავი ღირსეულად დაიჭირა და ემე ჟაკეს მეოთხედფინალში გასვლა მიულოცა.

სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ჰოლანდიელ გულშემატკივართა მშვიდობიანი ქცევაც. ლივერპულის პოლიცია შიშობდა, რომ ძალით მოუწევდა ქალაქის ქუჩებს მოდებული, ნარინჯისფერებში გამოწყობილი ათასობით ჰოლანდიელი ქომაგის დაშოშმინება, მაგრამ ესენი თამაშამდეც, თამაშისასაც და მის შემდეგაც, საბედნიეროდ, მხოლოდ ხმამაღალი სიმღერითა და ეროვნული დროშების ფრიალით დაკმაყოფილდნენ.

ჰოლანდიელი გულშემატკივრები იმდენად კორექტულნი იყვნენ, რომ პენალტების სერიის მერე მათ ტრიბუნასთან ფრანგების მეკარე ბერნარ ლამაც მივიდა და ტაშით მადლობა გადაუხადა. ამ დროს კი, საფრანგეთის ნაკრების სხვა წევრი კრისტიან კარემბუ კლარენს ზეედორფს ანუგეშებდა. ისინი ერთად თამაშობენ იტალიის „სამპდორიაში" და მეგობრობენ კიდეც. პენალტის გაცუდებით დამწუხრებული ჰოლანდიელის ნუგეშისცემა მისი ფრანგი მეგობრისგან ამ ულიმღამო შეხვედრის ყველაზე სასიამოვნო ეპიზოდი იყო.

პრეს-კონფერენციაზე ფრანგთა მწვრთნელი ემე ჟაკე ენაწყლიანი იყო: „ჰოლანდიელთა მწვრთნელზე გუს ჰიდინკზე ვფიქრობ. ძალზე დამწუხრებული იქნება, მაგრამ ფეხბურთში მოგებულიც უნდა იყოს და წაგებულიც. დღევანდელი მატჩის წაგება კი ძნელი გადასატანია.

ჰოლანდია კარგი გუნდია და თამაშის ბევრ ნაწილში გვაჯობა. სასურველი შედეგის მისაღწევად დიდი ბრძოლა გადაგვხდა. მსურს ოცდაორსავე ფეხბურთელს მადლობა მოვახსენო: მათი საქციელი სპორტული იყო.

არ გვეგონა, თუკი საქმე პენალტებამდე მივიდოდა. საამისოდ, საგანგებოდ არც მოვემზადებულვართ, არც ის ვიცოდით, თერთმეტმეტრიანებს ვინ დაარტყამდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიგებდით, თუმცა ამისათვის ლამას მოგერიებული ბურთი გვჭირდებოდა.

საწყენია, რომ კარემბუ ნახევარფინალს გამოტოვებს, მაგრამ მყავს მოთამაშეები, რომელთაც მისი შეცვლა შეუძლიათ. გზას ისეთივე ამბიციებით გავაგრძელებთ, როგორითაც დავიწყეთ."

ჰოლანდიელთა დამრიგებელი გუს ჰიდინკი: „კარგი შესაძლებლობები კი გვქონდა, მაგრამ ფეხბურთში მთავარი გოლის გატანაა. რეალობას არ გავურბივარ...

მითხრეს, რომ დესაიმ საჯარიმოში ხელით ითამაშა. თუ ეს მართალია, დიდი სირცხვილია. საფრანგეთი კი კარგი გუნდია, ყველა ადგილზე ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ისინი ჩემპიონობის კანდიდატები იქნებიან."

## ინგლისი 0 (4) — 0 (2) ესპანეთი

ზურაბ მექველია,
დავით მჭედლიშვილი
ლონდონიდან

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სიმენი | 1 | სუბისარეტა |
| 2 | გ. ნევილი | 3 | ბელსუე |
| 3 | პირსი | 4 | ალკორტა |
| 5 | ადამსი | 5 | აბელარდო |
| 6 | საუთგეიტი | 12 | სერხი |
| 7 | პლატი | 20 | ნადალი |
| 8 | გესქოინი | 6 | იერო |
| 17 | მაკმანამანი | 18 | ამორი |
| 9 | შირერი | 14 | კიკო |
| 10 | შერინგემი | 17 | მანხარინი |
| 11 | ანდერტონი | 19 | სალინასი |

**შეცვლა:** მანხარინი — 15 კამინერო (46), სალინასი — 11 ალფონსო (46), მაკმანამანი — 14 ბარმბი (109), შერინგემი — 20 (სტოუნი 109), ანდერტონი — 21 ფაულერი (109)

**გაფრთხილება:** აბელარდო, კიკო, ბელსუე, გ. ნევილი, ალფონსო

**პენალტები:** 1:0 შირერი, 1:0 იერო (ხარიხა), 2:0 პლატი, 2:1 ამორი, 3:1 პირსი, 3:2 ბელსუე, 4:2 გესქოინი, 4:2 ნადალი (მეკარე)

**მსაჯი:** მ. ბატა (საფრანგეთი)

22 ივნისი. „უემბლი"

„სტუმრები მცირე პატივისცემას მაინც იმსახურებენ, ესპანელებს კი ნიადაგ ის ესმით და იმას კითხულობენ, რომ პირველებმა აიკიდეს სიფილისი და მათ ქალებს ილლია არასოდეს გამოუპარსავთ. ასეთი შეურაცხყოფა მკვდარსაც კი ბოლომდე გააბრძოლებს. ასე არ შეიძლება." — თქვა მატჩის წინ გარი ლინეკერმა.

ცხადია, სპეცრეისი მადრიდიდან, აღშფოთებული ესპანელი ინტელიგენტებით სავსე, ეს რა აკადრეთ ჩვენს კულტუროსან ერსო, არავის შეუნიშნავს. ესპანელ ქალებს ეყოთ იუმორის გრძნობა, რათა სტადიონზე ულვაშმიხატულნი მისულიყვნენ (თუ რატომ, „სარბიელის" მკითხველებს კარგად მოეხსენებათ). ისე, ყველა ესპანელი ქალი მახინჯი რომ არაა, აქაურ გულშემატკივართა კერპმა რაიან გიგზმაც დაადასტურა და სწორედ თამაშის დღეს გაანდო პრესას თავისი ახალი გელფრენდის, სწორედ ესპანელი გოგოს ვიანობა. რაც შეეხება გაზეთებს, მათ ვნებები არც შაბათს დაუცხრათ, თუმცა მოხდა იშვიათი რამ: ერთნაირ სათაურს აქაურ ურიცხვ გაზეთში იშვიათად თუ წააწყდებით, შაბათს კი ბარე ხუთმა სახელიანმა გაზეთმა ასეთი ანშლაგი წაუმძღვარა თამაშს: ადიოს, ამიგოს!

მართლაც, ესპანელები მალე შინ გაემგზავრნენ, მაგრამ მასპინძელთა გამარჯვება ისეთი რომ არ იყო, როგორსაც ელოდნენ, თამაშის ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს.

პირველსავე წუთებზე ფრანგმა არბიტრმა ბატამ გამოიჩინა თავი — აბელარდოს არცთუ განსაკუთრებული დანაშაულისთვის ყვითელი აუფრიალა. ინგლისმა, როგორც მასპინძელმა, შეტევა სცადა. ჯერ მარცხნიდან ჩამოწოდებული ხუბისარეტამ ჩაჭრა, შემდეგ მანვე შირერის დარტყმა მოიგერია კუთხურზე. მე-10 წუთისთვის ტემპი აჩქარდა და თამაშს შეეტყო, რომ უინტერესოდ არ ჩაივლიდა. ესპანელები ყრუ დაცვაში გამაგრებას არ აპირებდნენ, საკმაოდ თამამად უტევდნენ და ინგლისელთა დაცვაში ბზარის პოვნას ცდილობდნენ. შემდეგ, ნელ-ნელა, სიჩქარემ იკლო, შეხვედრის ხასიათი კი არ შეცვლილა. საერთო სურათი ასეთი გახლდათ: ინგლისი მეტოქის ნახევარზე დასახლებას ვერ ახერხებდა, რასაც, ერთი მხრივ, ესპანეთის ცენტრთანვე ფხიზლად დახვედრა, მეორე მხრივ კი, საკუთრივ უემბლელთა გოლის გაშვების შიში განაპირობებდა. მეორე მოსაზრების დასტურისტივ მაკმანამანისა და პოლ გესქოინის თვალთახედვიდან გაუჩინარება იყო. ცხადია, მათ ნიჭი და უნარი არ წართმევიათ, უბრალოდ, ემანდ, კაცი არ გაგვექცესო, ამაზე იყვნენ გაფაციცებული, გაზა, ლამის იყო, ცენტრალური მცველების მხარდამხარ იდგა. კლემენტეს ბიჭებს კი სწორად ჰქონდათ თავიანთი მოქმედებანი გათვლილი. ზემოთაც ვახსენეთ, მათ ცენტრთანვე „აჰყავდათ" პირადი მეტოქეები და, ვინაიდან გოლის გატანას მოწყურებული მასპინძლები ძირითადად მათ ნახევარზე განლაგებას ლამობდნენ, შუა მოედანშივე ბურთის ჩაჭრის და ხელად, მეკარესთან თანაგუნდელის (უპირატესად, სალინასის) პირისპირ გაყვანის საუცხოო შესაძლებლობა იქმნებოდა. ასეც ხდებოდა. 21-ე წუთზე სალინასმა ინგლისელთა შეტევა ჩაჭრა, მანხარინს გადააწოდა, ლა კორუნიელმა კი კიკოს პასი დაუგვიანა და მაშინღა მისცა, ეს ოფსაიდში რომ იყო. ცხადია, მსაჯმა კიკოს გოლი არ ჩათვალა, მაგრამ 12 წუთის შემდეგ სალინასის გატანილი რაღად უარჰყო, ყოვლად გაუგებარია. პრეს-ლოჟაში დამონტაჟებულ მონიტორებსა თუ მთელი პლანეტის, ჩვეულებრივ ტელევიზორებში ნათლად ჩანდა, რომ სტუმართა ფორვარდმა ბურთი წესების სრული დაცვით მიიღო, თანამსაჯმა კი დროშა სწორედაც ბურთის მიღების დროს აღმართა, პასის მიწოდებისას კი არა.

და 42-ე წუთი, როდესაც მანხარინი სიმენთან პირისპირ შევიდა, ინგლისელთა „მოთამაშე ლეგენდა" საჯარიმოს გარეთ, მცველის პოზიციაზე გამოვარდა, მაგრამ ესპანელმა ბურთი ვერ შეიმაგრა და ენითაუწერელი შესაძლებლობა ქარს გაატანა.

მეორე ნახევარი ძირითადად იმავე სცენარით წარიმართა, (თავიდან კიკოს წაქცევისათვის მსაჯმა პენალტით პირსი კი არ დააჯარიმა, კიკოს ყვითელი აჩვენა), მაგრამ იყო 15-20 წუთი, როდესაც ინგლისელებმა ჩანაფიქრის ხორცშესხმას თავი მოაბეს. მათ თამაში ააჩქარეს, ბურთი ფრთიდან ფრთაზე გადატყორცნ-გადმოტყორცნეს, საჯარიმოში ჩაჰკიდეს, თავი თუ ფეხი ურტყეს და ერთი-ორჯერ ლამის ანგარიში გახსნეს. 34-ე დიდად სასეირო წუთი გამოდგა. ჯერ მეორე ტაიმში შესულმა კამირენომ საჯარიმოში, სიმენის ცხვირწინ ბურთის მკერდიდან ფეხზე ჩამოგდება დროულად ვერ მოახერხა და მომენტი დაჰკარგა, შემდეგ კი ინგლისელებმა წამოიღეს და შირერმა მეკარის ცხვირწინ გესქოინის პასით ვერ გაიტანა.

დამატებითი დრო, თუმც კი გოლამდე იყო, კვლავ საინტერესო გამოდგა. თავიდან ისე, რა, მერე კი ესპანეთი მიაწვა და მიაწვა, მაგრამ რად გინდა, „ოქროს გოლი" ვერ გაიტანეს.

და პენალტები, რომლებიც მასპინძლებმა უფრო მშვიდად და სწორად დაარტყეს, სტუმრები კი ორჯერ შეცდნენ, სულ პირველად იერო, სულ ბოლოს ნადალი. იერომ ხარიხას გაარტყა, ნადალს კი გმირმა, სიმენმა აუღო და „უემბლიც" კინაღამ დაინგრა. როგორც კვირის „სანდი მირორი" წერს, ამ დროს სტადიონზე 102,4 დეციბალიანი ხმაური დაფიქსირდა. უმალვე ყველამ ერთხმად დაავუგუნა „ფეხბურთი შინ ბრუნდება". ეს მართლაც ზღაპრული სანახაობა იყო. მღეროდა ყველა — მთვრალი თუ ფხიზელი, გულშემატკივარი თუ ოფიციალური პირი, ქალი თუ კაცი, ჟურნალისტი თუ მოსამსახურე პერსონალი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თავის ბინაში ტელევიზორთან მჯდარი მეიჯორიც ამას წაიმღერებდა. თამაშის მერე აკი თქვა, მატჩის დროს კინაღამ გული გამიჩერდაო. ზეიმი იყო თითქმის მთელს მსოფლიოში, იქ, სადაც ყოფილი თუ ახლანდელი ინგლისელები არიან. 1500-მა კაცმა გაავსო ესპანეთის საკურორტო ქალაქ ფუენგიროლაში მდებარე „ლინეკერ ბარი" და მეპატრონეს რამდენიმე ტელევიზორის გარეთ გადგმა მოუხდა; ჰონკონგში 800-მა ინგლისელმა იზეიმა ნახევარფინალში გასვლა ქალაქის ცენტრში; ფოლკლენდის კუნძულებზე მყოფი 2 ათასი ინგლისელი ჯარისკაცი ბოლო პენალტის მერე ყაზარმებიდან გამოვარდა და კარგა ხანს აღნიშნავდა გამარჯვებას, მიუხედავად სუსხიანი ამინდისა და დიდი თოვლისა; მათი კოლეგები კი, რომლებიც ხორვატიაში ასრულებდნენ სამშვიდობო მისიას, [illegible] ფეხბურთის და, რა თქმა უნდა, დი[illegible] [illegible] მოიყვანეთ გერმანიაო. ამ ყველაფერმა თითქმის ინციდენტების გარეშე ჩაიარა — პოლიციას მხოლოდ 22 კაცის დაკავება მოუხდა. ცხადია, მათ შორის არ იყო მიკ ჯაგერი, ვინაც თამაშის დღეს ჩვეულ საუზმეს რამდენიმე ბოთლი შამპანიურიც მიაყოლა და ისე მობრძანდა „უემბლიზე", მატჩის მერე კი... თუმცა, დავანებოთ თავი ლონდონს, ქეიფსა და ლხენას და ისიც გავიგოთ, რა თქვეს მატჩის შემდგომ ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა.

სტიუარტ პირსი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გერმანიასთან პენალტის გამფუჭებელი, ამბობს: ბურთი რომ პენალტის ნიშნულთან დავდე და დასარტყმელად დავიხიე, ამ დროს თვალწინ წარმომიდგა ჩემი ცოლი, რომელიც სასოწარკვეთილი იძახდა — კიდევ ააცილაო, მაგრამ ღვთის მადლით, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მართალია, პირადად ჩემთვის ეს ბედნიერი დღე იყო და ამიერიდან ის კოშმარი აღარ შემაწუხებს, მაინც ვიტყვი, რომ დღეს ჩვენი თამაში ვერ ვაჩვენეთ, ესპანელემა კარგად ითამაშეს და თუ დღეს მათ მოგება გამოვგლიჯეთ, ნახევარფინალში ასეთი თამაშით ველარ ვიხეირებთ. სულერთია, ვინ იქნება ჩვენი მეტოქე. მთავარია, უკეთესად უნდა ვითამაშოთ.

გარი ნევილიც, ვინც მეორე ყვითელი ბარათის გამო ნახევარფინალს გამოტოვებს, ბედნიერია: კიდევ კარგი, მოვიგეთ და ამით ჩემი პირადი უსიამოვნება მეორე პლანზე გადავიდა.

ინგლისის დღევანდელი გმირი სიმენი თანაგუნდელებს პენალტებს უქებს და ამბობს: იმედი მქონდა, რომ ერთ პენალტს ავიღებდი და ბიჭებს დავეხმარებოდი. ნადალის პენალტი მაკალისტერისას ჰგავდა — ვერც ამან დაარტყა მთლად კუთხეში. განსაკუთრებით პირსის გოლი გამეხარდა — მან დაამტკიცა, რომ ჯიგრიანი კაცია.

პირსის პენალტზე გაამახვილა ყურადღება ვენეიბლზმაც: პენალტებში თამაშის წინაც ვივარჯიშეთ და დავადგინეთ, ვის უნდა დაერტყა პირველი ხუთი თერთმეტმეტრიანი, მაგრამ როცა ჩემს წინ პირსი აღიმართა და მითხრა — მესამე პენალტს მე დავარტყამო, არჩევანი აღარ მქონდა. რაც შეეხება თამაშს, ვფიქრობ, პირველი ტაიმი უარესად ვითამაშეთ, ვიდრე მეორე, როცა ტაქტიკა გარკვეულად შევცვალეთ.

ხავიერ კლემენტე ესპანელ ჟურნალისტებს ხმას არ სცემს, აქაურებს კი უთხრა: მართალია, პენალტებში ყველას შეუძლია მოგება, „უემბლიზე" არსებულმა ატმოსფერომ თვით ამ სერიაზეც მოახდინა გავლენა. თამაშში მეტოქეს ჩვენ ვჯობნიდით, დამატებით დროში ნაღდი პენალტი არ მოგვცეს კამინეროს წაქცევისათვის, თუმცა ასეთ ვითარებაში მსაჯს ნამდვილად გაუჭირდებოდა ამ გადაწყვეტილების მიღება. ნაღდად არ მეწყინება, ინგლისი რომ ჩემპიონი გახდეს. მიუხედავად გაზეთებში ამოკითხული ანტიესპანური, შეურაცხმყოფელი წერილებისა. ისე, გესქოინს მაინც მინდა ვურჩიო, რომ მეტოქის ქვეყნის ჰიმნის შესრულების დროს ისე მოიქცეს, როგორც ჩვენები იქცეოდნენ ინგლისის ჰიმნისას და არა ისე, როგორც ის იქცეოდა ჩვენი ჰიმნის შესრულებისას — ხტუნავდა და გეტრებს ისწორებდა.

რაც შეეხება საცოდავ ნადალს, ამან თქვა: ჩვენ გაცილებით უკეთ ვითამაშეთ და საქმე პენალტებამდე არ უნდა მიგვეყვანა. ჩემი უხეირო პენალტი მარტო ჩემი ტრაგედია რომ იყოს, არა უშავდა, მაგრამ ეს ხომ მთელი გუნდის ტრაგედიაა.



ამორი შერინგემისთვის ხელის შეშლას ცდილობს



### ფრანგული დესერტი!



**ზინედინ ზიდანი**

საფრანგეთი

24

ზინედინმა დღეობის წინ ბრწყინვალე საჩუქარი მიიღო — ფრანგები, ან, უფრო სწორად, „სარბიელის" მესვეტეს სიტყვებით, არაბები, ზანგები და სომხები, ფრანგთა დროშას რომ გაუერთიანებია, ნახევარფინალში გავიდნენ. მათ პენალტებით სძლიეს ნიდერლანდის მოქალაქე სურინამელებს, ებრაელებს და გაურკვეველთ (მაგ; აარონ მოჰამედ ვინტერი). ერთი პენალტი საკუთრივ იუბილარმა შეაგდო. ეს 24 წლის, უკვე თმაგაცვენილი ბიჭი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, როგორც ჩანს, ძლევამოსილ „იუვენტუსში" გადავა. ისე კი, რა დაგიმალოთ და, მისგან, როგორც საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელისგან, მეტს ველოდით, თუმცა, მისი ბრალიც არაა. ხუმრობა ხომ არ არის, ინტერტოტოდან უეფას ფინალში გასვლა (ზინედინი „ბორდოში" იყო), თანაც ქვეყნის ჩემპიონატში, თასსა და ლიგის თასზე ასპარეზობა. პლუს ნაკრების თამაშები. ეტყობა გადაიღალა.

# მე ვიცდი...

რუსთავის „მეტალურგმა“ ჩემპიონატი ჩინებულად დაიწყო, ერთმანეთს მიყოლებულმა გამარჯვებებმა გუნდი ცხრილის სათავეში მოაქცია. მერე კი ისე წაუვიდათ საქმე, სულაც დაშლა დაემუქრათ. მიზეზს, ცხადია, კითხვაც არ უნდა — უფულობა და უპატრონობა. ამ შეჭირვებას არცთუ იოლად, მაგრამ მაინც გაუმკლავდნენ. გუნდის დაფინანსება ახალგაზრდა, ფეხბურთის მოყვარულმა ხალხმა იკისრა. თუ მშირემა „მეტალურგმა“ პირველ წრეში მეექვსე ადგილი დაიკავა, მაძღარი აუცილებლად საპრიზო ადგილზე გავაო — ხშირად გაიგონებდით საფეხბურთო წრეებში. მართლაც, მეორე წრის დასაწყისი, პირველის მსგავსი გამოდგა, გუნდი ნელ-ნელა, თავდაჯერებით მიიწევდა დასახული მიზნისკენ, მაგრამ ბოლო ტურში ზესტაფონელებთან დამარცხებამ ყველაფერი წყალში ჩაყარა. მაძღარმა „მეტალურგმა“ მშირე მხოლოდ იმით აჯობა, რომ სატურნირო ცხრილში ოდენ ერთი ადგილით აინაცვლა და საპრიზოს ნაცვლად მეხუთე ადგილს დასჯერდა. ჩამთავრდა ჩემპიონატი და ატყდა მითქმა-მოთქმა. ჭორ-მართალს ბოლო არ უჩანდა. ზოგ-ზოგები იმასაც ამბობდნენ, ზესტაფონელებთან წაგებამ „მეტალურგის“ მზე ჩაასვენა და ახალ სეზონში რუსთაველებს საპიზო ადგილისთვის მებრძოლთა შორის ნამდვილად ველარ ვიხილავთო.

მოკლედ, გასარჩევ-დასადგენი ბევრი იყო და ჩვენც ამიტომ შევაწუხეთ გუნდის მთავარი მწვრთნელი რეზო ძოძუაშვილი, რომელსაც, მართალია, იმედგაცრუება კი ეტყობოდა, მაგრამ ინტერვიუზე მაინც დაგვყაბულდა. საუბარი „მეტალურგისთვის“ავადსახსენებელი ბოლო თამაშით დავიწყეთ...

— ახლა ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა იმ მატჩს ჩვენთვის. ფრე ხელს არცერთს გვაძლევდა, თან ვიცოდით, რომ ზესტაფონელები თავდადებით იბრძოლებდნენ და გამარჯვებისთვის ყველაფერს გაიღებდნენ. ბუნებრივია, მღელვარება უდიდესი იყო, ჩვენს მოთამაშეებში კი ასეთი პრინციპული თამაშში მონაწილეობას გამოცდილება მხოლოდ ერთს, მერაბ თევზაძეს გააჩნდა. მიუხედავად იმისა რომ საკმაოდ წავიმუშავეთ ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურად შესამზადებლად, ბიჭები მაინც ძალიან ნერვიულობდნენ. ახალგაზრდული გუნდისგან ეს არც არის გასაკვირი. შეიძლება თეორიულად ყველაფერი მშვენივრად იცოდე, მაგრამ პრაქტიკაზე.რომ მიდგება საქმე- გამოცდილება მხოლოდ წლებს მოაქვს. არც იმას დავმალავ საკმაოა სასწრაფოდ აღმოსაფხვრელი სიბინძურე. თუ კაცი ხარ, გამარჯვება ალალ ბრძოლაში უნდა მოიპოვო და არა იქით-აქეთ ძრომაში. იმასაც ვიტყვი, რომ ეს ბოლო თამაშს არ ეხება, მთელი სეზონი მაქვს მხედველობაში. არც ის მიმაჩნია სწორად, ფეხბურთელი თამაშისათვის ემზადებოდეს, ვილაც გარეშე პირი კი კვლავ რაღაც ზღაპრებს უყვებოდეს და თავგზას ურევდეს. იმ მარცხში ჩემს წილ პასუხისმგებლობას მეც ვიღებ, მაგრამ, ვიმეორებ, თუ ჩვენებს ფეხბურთს შეთვისებული საბჭოური სიბინძურეები და გამორჩენის მიზნით მიტმასნილი ხალხი არ მოეკვეთა, ძალიან გაგვიჭირდება. ამას რომ ვამბობ, ისე გამოდის, თითქოს მე ყველაფერში სუფთა და უშეცდომო კაცი ვიყო, მაგრამ უთქმელობაც რომ არ იქნება...ახლა თავში ცემა და ტირილი ვერაფერს გვიშველის, მომხდარი კი ჭკუის სასწავლებლად ნამდვილად გამოდგება. ისე, ძალიან კარგი კი იქნებოდა, ასეთ მაგალითებზე არ გვესწავლა და არც იმაში შევმცდარიყავით, რასაც აღარაფერი ეშველება.

— **მოდით, მეორე წრეში „მეტალურგის“ მიერ წაგებული სამად-სამი შეხვედრა გავიხსენოთ. თქვენი აზრით, რა იყო ამ მარცხის მიზეზი?**

— „დინამომ“ პირველ წრეში რუსთავშიც მოგვიგო. მათი სიძლიერე რომ უდავოა, ეს ფაქტია, მაგრამ ისაც გავიხსენოთ, რომ თბილისში 0:1-ზე ჩალაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ვერ გვახეირა, მერე კი მსაჯმა მასპინძელთა სასარგებლოდ პენალტი მოიგონა და 2:0-ის შემდეგ, ფაქტობრივად, თამაშის ბედიც გადაწყდა;

მეორედ ფოთში დავმარცხდით. მერწმუნეთ, იმ მატჩში წასაგები არაფერი გვჭირდა, მაგრამ მასპინძლებმა ძალიან მოინდომეს, ხოლო როცა ამას მსაჯის გამოუსწორებელი შეცდომაც დაემატება, წაგება გარდუვალია.

„მარგვეთთან“ რაც დაგვემართა, ზემოთ გითხარით. ზესტაფონელებმა, „დინამოს“ დარად, ორივე თამაში მოგვიგეს. მათ ჩემპიონატის დასაწყისიდანვე ჰქონდათ დაგეგმილი საპრიზო ადგილზე გასვლა და საამისოდ საკმაოდ საფუძვლიანადაც ემზადებოდნენ, „მეტალურგს“ კი პირველ წრეში, საპრიზო ადგილს ვინ ჩივის, რომ იტყვიან, პურის ყუა ენატრებოდა და დაშლის პირას ვიყავით. მიუხედავად ამისა, რუსთავში „მარგვეთის“ დამარცხება მაინც შეგვეძლო, მაგრამ ზესტაფონელებს იმ დღეს ღმერთი იფარავდა.

— **ბარემ გორში გამართული შეხვედრაც გავიხსენოთ, რომელიც რუსთაველებმა 3:2 კი მოიგეს, მაგრამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია?**

— თბილისში ჭორი უსწრაფესად ვრცელდება. ეს არ არის გასაკვირი. გორში, რაც შეგვეძლო, ვითამაშეთ და მოვიგეთ კიდეც. რაღაც-რაღაცეებს რომ ამბობენ, იმას რატომ ივიწყებენ, გორში ჩვენი მარცხით რამდენი იყო დაინტერესებული. ამდენ ქიშპობას ის არ სჯობს, ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ და საერთო საქმე ვაკეთოთ.

— **როგორ შეაფასებთ მეშვიდე ჩემპიონატს — თამაშის საერთო სარისხით წინანდელებს სჯობდა თუ პირიქით?**

— დავიწყოთ იმით, რომ სეზონის დაწყებამდე საქართველოდან ბევრი ფეხბურთელი წავიდა საზღვარგარეთ სათამაშოდ. ამან, ბუნებრივია, ახალგაზრდებს შანსი გაუჩინა და მათაც თავი არ შეირცხვინეს. სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ველოდი, ამდენი ნიჭიერი ფეხბურთელი ერთად თუ გამოჩნდებოდა. მარტო ნიჭით რომ შორს ვერ წახვალ, ეს კანონია, მაგრამ ფაქტია, ამ ბიჭების მონდომებამ ჩემპიონატს ინტრიგა შემატა და სატურნირო ვითარებაც ბოლო ტურამდე დაძაბული იყო. რა თქმა უნდა, გათამაშების ცხრილის „ზედა ფენას“ ვგულისხმობ, თორემ დაბლა გავარდნილთა ვინაობა ადრევე გაირკვა და, რაც ხდებოდა, ყველამ კარგად იცის. ამჟამინდელ დონეს მხოლოდ ჩვენს გაძალებულ ყოფაში თუ ჩავთვლით დამაკმაყოფილებლად, მერე და მერე კი უკეთესიც გვექნება. მოკლედ,ამ ეტაპზე არა გვიშავს.

— **პირველი წრის მერე მსაჯობით მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყავით. მეორეში როგორ იყო საქმე?**

— ჩვენში არიან მსაჯები, რომლებიც თავის საქმეს ალალად, ყოველგვარი ამბიციურობის გარეშე აკეთებენ. ისინი ცდილობენ ყოველთვის პროფესიულად გაისარჯონ. ასეთი არბიტრი თამაშს ნაკლებად აფუჭებს, შეცდომისაგან კი ვინ არის დაზღვეული. აგერ, ახლა, ევროპის ჩემპიონატს ვუყურებთ და ვხედავთ, რამდენს სცოდავენ მსაჯები. არბიტრთა უხეში შეცდომები უსოდენ მაღალი რანგის ტურნირში თუ ხშირია, ჩვენს ჩემპიონატზე რაღა ვთქვათ? მაგრამ, იმ ჩვენი მსაჯების გასაგონად ვიტყვი, რომლებიც განზრახ, შეგნებულად ცდებიან და ამათუიმ გუნდის გასაფუჭებლად ყველაფერს აკეთებენ: უჯობთ, ფრთხილად იყვნენ, თორემ კოკა ერთხელაც წყაროზე გატყდება და სამარცხვინო სიმართლეს ველარ დამალავენ. ისე, ჩვენში მსაჯობის დონე არ ამაღლდა და მსაჯობა არ იციანო, ნამდვილად ვერ იტყვი კაცი.

— **ისევ „მეტალურგს“ დავუბრუნდეთ. ამბობენ, უპატრონოდ რჩებაო,**



**ეს კი არა, გუნდი თუ იქნება, საკითხავიაო...**

— ერთ რამეს გეტყვით: რაც არ უნდა მოხდეს, რუსთავს გუნდი ყოველთვის ეყოლება. ოღონდ როგორი, საპრიზო ადგილისთვის მებრძოლი თუ ისეთი, ათეულში ყოფნას რომ იკმარებს, ეს არის საკითხავი. ყველაფერნი მალე გაირკვევა. იმ დღიდან, რაც რუსთავში ვმუშაობ, პარალელურად რეზერვზეც ვფიქრობდით. ახლა გუნდი გაურკვევლობაშია. თუ იქნება ხელშეწყობა და ფეხბურთელებს მარტო ენთუზიაზმის ანაბარა არ მოუწევთ თამაში, მაშინ გუნდის ბირთვს შევინარჩუნებთ, თუ არა, მოწვეულები წავლენ და „მეტალურგში“ ადგილობრივნი ითამაშებენ. „აზოტში“ ბევრი კარგი მოთამაშეა და გუნდიც არ გავარდება. მოკლედ, მაგ ბიჭებით გუნდს ორი-სამი წელი არ გაუჭირდება.

— **ვთქვათ, სასურველი პირობები არ იქნა, მაშინ „მეტალურგის“ ამჟამინდელთ ლიდერები რა გზას უნდა დაადგნენ?**

— ისეთები, როგორიც რეხვიაშვილი, ზირაქიშვილი, ჩალაძე, დოლიძე და სხვებიც არიან, ფეხბურთში არ დაიკარგებიან. მათ ბლომად მიწვევები აქვთ ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. ბიჭები ჯერ იცდიან, იმ გუნდს, რომელსაც ამდენი შრომა და ენთუზიაზმი შეალიეს, ასე ხელაღებით ვერ ტოვებენ, მაგრამ ლოდინსაც ხომ ზღვარი აქვს. თუ საშველი არ გამოჩნდა, წავლენ, აბა, რას იზამენ და არც გაემტყუნებათ.

— **ამასვე თქვენც გკითხავთ: რა ელის რეზო ძოძუაშვილს?**

— ჯერ არ ვიცი. მეც ვიცდი. თუ ყველაფერი მოგვარდა, ხომ კარგი. თუ არა, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის, რა ვქნა. წარამარა უხელფასოდ და ტანჯვით მუშაობა აღარ შემიძლია. თუ რუსთაველებს ისეთი გუნდი ენდომებათ, სერიოზულ მიზნებს რომ დაისახავს, მე მზად ვარ. არადა, მეც ხომ ოჯახი მყავს. რაც შეეხება ჩემს ბედს, არა მგონია, უმუშევარი დავრჩე. ჩემი გამოცდილება და ფეხბურთის სიყვარული ვინმეს დასჭირდება. ისე, ძნელი და გულდასაწყვეტი იქნება „მეტალურგთან“ განშორება. დაწყებული საქმის დაბოლოება მინდოდა და ამას ოთხი წელი შევალიე. ვფიქრობ, ბევრიც გავაკეთე. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ბედს რომ არ ემუხთლა, მაგრამ...

— **რა არის საჭირო საიმისოდ, რომ „მეტალურგი“ არ დაიშალოს?**

— მთავარია, იმ ახალგაზრდა ხალხს რომლებიც მეორე წრეში გვპატრონობდნენ, ნერვებმა არ უმტყუნოთ. მათთვის მადლობის მეტი არა გვეთქმის, ყველაფერი გააკეთეს „მეტალურგისთვის“. ქალაქის ხელმძღვანელობის ნდობა და ყურადღებაც აუცილებელია. ეს თუ გვექნა, ფეხბურთელები და მწვრთნელები თავს არ დავზოგავთ, სასურველ ადგილს ჩემპიონატში აუცილებლად დავიკავებთ.

მამუკა კვანტალიანი

ბადრი კეთილაძის ფოტო

| მეტალურგი | | |
|---|---|---|
| შევარდენი | 2:0 (1:0) | სტუმრად |
| ივერია | 2:1 (0:0) | შინ |
| კახეთი | 2:0 (0:0) | სტუმრად |
| გურია | 3:0 (1:0) | შინ |
| დურუჯი | 5:1 (2:0) | სტუმრად |
| სიონი | 5:0 (3:0) | შინ |
| დინამო | 0:4 (0:1) | სტუმრად |
| სამტრედია | 2:1 (0:0) | შინ |
| კოლხეთი | 1:2 (1:1) | სტუმრად |
| ბათუმი | 1:0 (1:0) | შინ |
| ოდიში | 3:1 (1:0) | სტუმრად |
| ტორპედო | 4:3 (3:2) | შინ |
| ეგრისი | 4:1 (1:0) | სტუმრად |
| ოილა | 3:2 (2:2) | შინ |
| მარგვეთი | 0:1 (0:0) | სტუმრად |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 15 | 12 | 0 | 3 | 37:16 | 36 |
| შინ | 7 | 6 | 0 | 1 | 17:5 | 18 |
| სტუმრად | 8 | 8 | 0 | 2 | 20:11 | 18 |




| მეორე წრეში თამაშობდნენ | თ | გ | ყ |
|---|---|---|---|
| **მეკარე** | | | |
| გუბაზ დოლიძე | 15 | -16 | - |
| **მცველები** | | | |
| ზურაბ ფოფხაძე | 15 | 3 | - |
| მერაბ თევზაძე | 15 | 1 | - |
| ნორმენ ტარტარაშვილი | 15 | - | - |
| ლევან სილაგაძე | 15 | - | - |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | 13 | 1 | 3 |
| გელა არჩვაძე | 13 | 1 | - |
| მურად ყაველაშვილი | 5 | - | - |
| ლაშა ამბიძე | 1 | - | - |
| **ნახევარმცველები** | | | |
| კახა ალადაშვილი | 15 | 8 | - |
| თამაზ პერტია | 15 | - | - |
| ზაზა პატარიძე | 12 | 3 | - |
| თამაზ მეტრეველი | 7 | 2 | - |
| მამუკა მელაძე | 5 | 1 | - |
| ამირან კედელაშვილი | 4 | 1 | - |
| დიმიტრი არსოშვილი | 1 | - | - |
| ზაზა ლოლაშვილი | 1 | - | - |
| **თავდამსხმელები** | | | |
| დავით ჩალაძე | 15 | 10 | - |
| რობერტო ზირაქიშვილი | 15 | 5 | - |
| არმაზ ჯელაძე | 5 | 1 | - |

# სარბიელი

## ტოტალიზატორ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 ივნისს ტოტალიზატორი ისვენებს

ნახევარფინალური თამაშების ფსონებს ხვალინდელ „სარბიელში“ იხილავთ.

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში 13-დან 16 საათამდე
საღამოს საათებში „კროკო“ იმუშავებს კინოთეატრის მცირე დარბაზში

## სიდამონიძე გერმანიის გზას გაჰყურებს

საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი კახა სიდამონიძე, რომელმაც ტრავმების შემდეგ ვერა და ვერ აღიდგინა ჩვეული ფორმა, გერმანიის ერთ-ერთი რეგიონალური ლიგის გუნდ „აუსბურგში“ აპირებს კარიერის გაგრძელებას. შეგახსენებთ, სიდამონიძე ბოლოს „მრეტებში“ თამაშობდა.

## სეკეჩი ქართველების გარემოცვაში

წინათ საკავშირო უმაღლესი ლიგის გუნდების გამწვრთნელს, ამჟამად კი ვლადივოსტოკის „ლუჩის“ მთავარ მწვრთნელს იშტვან სეკეჩს მოსწონებია მასთან გასასინჯად ჩასული ოთხი ქართველი ფეხბურთელი, ქუთაისელები ნოზაძე, ჩხაბერიძე, გიორგობიანი და ზესტაფონელი ენდელაძე. „თუ რაიმე ფორმალობამ ხელი არ შემიშალა, მათ აუცილებლად ჩავრიცხავ „ლუჩში“, — უთქვამს სეკეჩს. თუ ასე მოხდა, ამ გუნდში ერთბაშად შვიდი ქართველი ითამაშებს.

## ჟვანიამ სახელობა გამოიცვალა

თბილისის „დინამოს“ ტექნიკურმა დირექტორმა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა გუნდი და ამიერიდან კალათბურთელთა „დინამოს“ პრეზიდენტი იქნება. ამ ცნობის უტყუარობა თავად ვაჟა ჟვანიამ დაგვიდასტურა.

INTERTOTO CUP

მეორე ტური
29-30 ივნისი

I ჯგუფი: ჰაპოელი (ჰ) — კლიფტონვილი, შტუტგარტი — ოლბორგი; II ჯგუფი: დიურგარდენსი — აპოლონი, იტროტარფელაგი — ლასკი; III ჯგუფი: კეფლავიკი — მარიბორი, კოპენჰაგენი — ერებრუ; IV ჯგუფი: ქონვი — შარლერუა, სილკებორგი — ზაგლებიე; V ჯგუფი: ნანტი — კაუნასი, ლილესტრიომი — სლაივგო როვერსი; VI ჯგუფი: ლეცერნი — ჰაპოელი (თ), ოსიეკი — ოგრეტი; VII ჯგუფი: ანთალიასფორი — ბაზელი, შახტიორი — ატაკა-აურა; VIII ჯგუფი: კაუჩუკ ოპავა — კამაზ-ჩალი, ლკს — ვარნა; IX ჯგუფი: კარლსრუე — უნივერსიტატია, დაუგავა — ტრნავა; X ჯგუფი: ნარვა — გრონინგენი, გაზიანთეფსფორი — ვაშაში; XI ჯგუფი: სტრასბური — ქოჯაელისფორი, ცსკა (ს) — ჰიბერნიანსი; XII ჯგუფი: კოლხეთი — ზემუნი, დინამო — იარო.

გუშინ და გუშინწინ გაიმართა პირველი ტურის მატჩები, რომელთაგან ოთხის შედეგს აქვე გაცნობებთ:

აპოელი — ვერდერი 0:2
ვარნა — მიუნხენი 2:1
სლაივგო როვერსი — ჰერენვეენი 0:0
კაუნასი — ლილესტრიომი 1:4

## ფოცხვერია ჩიხრაძესთან, „შახტიორში“

ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან“ წასული მიხეილ ფოცხვერია გიორგი ჩიხრაძის თანაგუნდელი გახდა — მანაც დონეცკის „შახტიორის“ მაისური მოირგო. ახალმა ფორვარდმა პირველსავე შეხვედრაში შესძლო გოლის გატანა, რითაც თავისი წვლილი შეიტანა ტერნოპოლის „ნივას“ სტუმრად 3:1 დამარცხებაში და ამით უკრაინის ჩემპიონატში გატანილ გოლთა რაოდენობა 10-მდე გაიზარდა.

როსტოვში დაბადებულ-გაზრდილი და შემდგომ ოჯახთან ერთად უკრაინაში გადასახლებული ამ თავდამსხმელით უკრაინის, რუსეთისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელები არიან დაინტერესებულნი. ამასწინათ გაუწყეთ კიდეც, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელთან საუბარში ფოცხვერიას საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი გამოუთქვამს.

გუშინ, 23 ივნისს ფოცხვერიას „ინტერტოტოზე“ „შახტიორის“ შემადგენლობაში თავისი პირველი საერთაშორისო შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა შვეიცარიის „ბაზელის“ წინააღმდეგ.

## გრიშიკაშვილს საქმე მოენატრა

ვლადიკავკაზის „ალანიას“ ყოფილი მეკარე სოსო გრიშიკაშვილი ეკატერინბურგის „ურალმაშში“ ითამაშებს. „ურალმაში“ რუსეთის ჩემპიონატის პირველი წრის მერე ბოლო ადგილზე იმყოფება, 29 ივნისს კი „ინტერტოტოს“ გათამაშებაში მოუწევს ჩართვა.

გადაწყვეტილება ეკატერინბურგში თამაშის შესახებ საქართველოს ნაკრების კანდიდატს ამ რამდენიმე დღის წინ ვალერი გაზაევთან საუბრის მერე მიუღია:

— მე კიდევ ერთხელ უარვყავი გაზაევის წინადადება რუსეთის მოქალაქეობის მიღების თაობაზე და ვარჩიე გადავსულიყავი „ურალმაშში“, სადაც მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს უნდა მოვაწერო ხელი. შეიძლება გაგიკვირდეთ კიდეც, მაგრამ აუტსაიდერ გუნდში გადასვლა ხელსაც მაძლევს, რადგან წელიწადნახევრის განმავლობაში სათამაშო პრაქტიკა მაკლდა, ასეთ გუნდში კი მეკარეს ბევრი სამუშაო ექნება, რაც ახლა ძალიან მჭირდება.

— **ეკატერინბურგელთა კარს გამოცდილი გოროდოვი იცავს. არ გეშინია, რომ იქაც, „ალანიას“ მსგავსად, სათადარიგო სკამის სეხვამ მოგიწიოს?**

— გოროდოვი გუნდიდან წავიდა და მეკარეც ამიტომ დასჭირდათ, ასე რომ, სკამზე ჯდომა გამორიცხულია.

— **ამბობდნენ, გრიშიკაშვილი ცესკაში მიდისო...**

— „ურალმაშმა“ „ალანიას“ მისთვის უფრო ხელსაყრელი წინადადებით მიმართა, ამიტომაც გამიშვეს სწორედ ამ გუნდში და არა ცესკაში. თანაც, უკვე გითხარით, რაც უფრო მეტი სამუშაო მექნება, მით უკეთესი ჩემთვის. „ურალმაში“ კი ამის საშუალებას მომცემს.

კომპიუტერები
პრინტერები
მულტიმედია
პროგრამები
როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით ისე გადარიცხვით
გარანტია 1 წელი
შპს კომპუსი
გარანტიის შემდგომი მომსახურება;
☎ 93-91-03
37-12-96
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16 (სასტუმრო „აფხაზეთის“ პირდაპირ)
11 სართული, ოთახები 1104, 1105

იყიდება მე-19 საუკუნის ბოლოს, სამეფო კარის ცნობილ ოსტატ იული ჰენრიხ ციმერმანის მიერ აწყობილი საოჯახო ორღანი
(CROWN ORGAN).
ფასი 3 500 დოლარი.
ცნობებისათვის დარეკეთ:
39-48-29; 93-16-08

იყიდება
თეთრი, გამჭირვალე ორგანული მინა
75 X 75
ტელ.: 95 22 56 (საღამოს)

## ჩოგბურთი

# ტრადიციას ადარაფერი ემუქრება

დღეს, ლონდონში, წლევანდელი დიდი სლემის მესამე შეჯიბრი — უიმბლდონის ტურნირი გაჩაღდება. ტრადიციის თანახმად, მთავარ კორტზე პირველმა შარშანდელმა ჩემპიონმა — ამერიკელმა პიტ სამპრასმა უნდა ითამაშოს.



მონიკა სელეშს ეიმედება, რომ ისთბორნულ თასს ორ კვირაში უიმბლდონურ თეფშსაც მიაყოლებს

**სამპრასი** ტიტულის დასაცავად ინგლისშივე მოემზადა და ჰერლინგემის ტურნირში ითამაშა, სადაც ფინალი წააგო თანამემამულე ზანგ მალივაი ვოშინგთონთან 5:7, 2:6. პიტი პირველ წრეში ასევე ამერიკელ რიჩი რენებერგს უნდა შეხვდეს. ეს კაცი წელს კარგად თამაშობდა ბალახზე და ლამის იყო ჰალეს (გერმანია) ტურნირის ფინალშიც გავიდა.

საბედნიეროდ, ასე არ მომხდარა, თორემ უიმბლდონის ორგანიზატორ „გრენდ სლემსა" და ჰალეს შეჯიბრის განმრიგე „ატპ-ის ტურს" ჩხუბი მოუვიდოდათ. საქმე ისაა, რომ ჰალეში ფინალი გუშინ გაიმართა, ტურის წესებით კი ფინალის მონაწილეებს ერთდღიანი დასვენება ეკუთვნით. ამას ვერ შეურიგდებოდნენ უიმბლდონელები, ვინაიდან ტრადიციას დიდ პატივსა სცემენ და რალაც მეათეხარისხოვანი შეჯიბრის გამო არ დაარღვევდნენ.

მსოფლიო ჩოგბურთის მმართველი ორი კონკურენტი ორგანიზაცია 25 წლის შვედ ნიკოლას კულტის უნდა უმადლოდეს, რენებერგის გამო დავა რომ აცდათ. კულტიმ 30 წლის ამერიკელს ძალისძალად, ორი თაი-ბრეიქით 7:6 (7-3), 7:6 (12-10) მოუგო და გუშინ ფინალში შეხვდებოდა საფრანგეთის რუს ჩემპიონ ევგენი კაფელნიკოვს, ვინაც ნახევარფინალში 6:3, 1:6, 6:3 აჯობა ჩეხ დანიელ ვაჩეკს, ვისთანაც წყვილად გაიმარჯვა როლან-გაროსზე.

კაფელნიკოვს მარცხენა კოჭი აწუხებს და ვაჩეკთან თამაშისას ორჯერ უწამლეს. მანამდე, მეოთხედფინალში უენია ხუთ მატჩ-პოინტს გადაურჩა და 4:6, 7:6, 7:6 ძლივს მოერია შვედ მაგნუს ლარსონს. ჰალეს შეჯიბრის სხვა მეოთხედფინალებში ვაჩეკმა 6:2, 4:6, 6:2 დაამარცხა მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი), კულტიმ 7:6, 6:3 მოუგო ბრედ სთივენს (ახალი ზელანდია), ხოლო რენებერგმა თვით ჯიმ კურიე (აშშ) გააგდო 6:7, 6:4, 6:2.

სთივენთან წააგო მსოფლიოს მეორე ჩოგანმა თომას მუსტერმა (ავსტრია), თანაც დაშავდა და გამოაკლდა უიმბლდონს, სადაც მე-7 ნომრად იყო განთესილი. ამას ორგანიზატორებისთვის შეიძლება გვარიანად აერია დავთრები, უფრო სწორად კი განთესვა და სატურნირო ბადე, მაგრამ ამათ წილი თავიდან აღარ უყრიათ: მუსტერის ნაცვლად ჩასვეს პოლანდიელი რიხარდ კრაიჩეკი, რომელიც, რაღა თქმა უნდა, განთესილი არა ყოფილა. ამ მინიმალური კორექტივის შემდეგ დამტკიცდა, რომ პირველ წრეში სამპრასის მაგვარი სხვა ბობოლების მეტოქეები იქნებიან: გერმანელი მიხაელ შტიხისა (10) — შენგ სხალკენი (ჰოლანდია), ხორვატი გორან ივანიშევიჩისა (4) — ბერნდ კარბახერი (გერმანია), შვედი სტეფან ედბერგისა (12) — გი ფორჟე (საფრანგეთი), ამერიკელი მაიქლ ჩანგისა (6) — ალბერტო კოსტა (ესპანეთი), კაფელნიკოვისა (5) — თიმ ჰენმანი (ბრიტანეთი), სამხრეთაფრიკელი ვეინ ფერერასი (11) — დავიდ პრინოზილი (გერმანია), ამერიკელი ანდრე აგასისა (3) — კენ ფლეჩი (აშშ), კურიესი (8) — ჯონათან სთარქი (აშშ), ხოლო გერმანელი ბორის ბეკერისა (2) — ჟან-ფილიპ ფლერიანი (საფრანგეთი).

წინა კვირაში კიდევ ერთი მოსათელი ვაუთა ტურნირი ნოთინგემში (ინგლისი) გაიმართა. იქ ჰალესთან შედარებით სუსტი დასი შეიკრიბა. შაბათს წელს უკვე მეორე ტიტული მოიგო 26 წლის ჰოლანდიელმა იან სიმერინკმა, ვინაც ფინალში 6:3, 7:6 (7-0) დაამარცხა ავსტრალიელი სენდონ სთოლი.

**ქალები** ისთბორნში (ინგლისი) და როზმალენში (ჰოლანდია) გახურდნენ. პირველგან ხუთშაბათს რომ იწვიმა, თამაშები ჩაიშალა. ამიტომ პარასკევს მოეწყო მეოთხედფინალებიცა და ნახევარფინალებიც. ჰოდა, უიმბლდონისთვის მე-2 ფავორიტად შეგულვებულმა მონიკა სელეშმა (აშშ) ჯერ ინეს გოროჩატეგი (არგენტინა) 6:3, 6:1 დაამარცხა, მერე კი შარშანდელ ჩემპიონ ნატალი ტოზიასაც (საფრანგეთი) მოუგო 6:4, 6:4. ტოზიამ მანამდე გააგდო ლიზა რეიმანდი (აშშ) 6:2, 6:0. ბადის მეორე ნახევარში მერი-ჯო ფერნანდესმა (აშშ, 7) ჯერ კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 2) დაამარცხა 2:6, 6:4, 6:4, მერე კი როლან-გაროსზე თვით სელეშის მძლეველ ჩეხ იანა ნოვოტნას (3) 6:1, 2:6, 8:6 სძლია. ამან, თავის მხრივ, მანამდე ინდონეზიელი იაიუკ ბაზუკი გააგდო 7:6, 6:1.

ფინალში მერი-ჯომ მორიგი სენსაცია ველარ მოაწყო. პირიქით, სელეში ისე გამხეცდა, რომ თუმც სულ ორჯერ დაარტყა პაერიდან, საწყის 12 წუთში ხუთი გეიმი მოიგო, თამაში კი 45 წუთში ჩაამთავრა 6:0, 6:2. ამით მონიკამ კარიერის 36-ე ტიტული მოიპოვა და ახლა უიმბლდონისასაც უმიზნებს, რომელიც ერთობ აკლია მის შთამბეჭდავ კოლექციას.

როზმალენში გაიმარჯვა ანკე ჰუბერმა (გერმანია). მან ფინალში, ასევე შაბათს, 6:3, 7:6 (7-2) დაამარცხა ჩეხი ჰელენა სუკოვა. სუკოვამ ნახევარფინალში 5:7, 6:4, 6:3 მოუგო ავსტრიელ იუდით ვიზნერს, ჰუბერმა კი 6:7, 6:1, 6:4 სძლია რუმინელ რუქსანდა დრაგომირს.

უიმბლდონში უპირველესი ქალი ფავორიტი შარშანდელი ჩემპიონი, გერმანელი შტეფი გრაფია (1). პირველ წრეში მას ეთამაშება ჩეხი ლუდმილა რიხტეროვა. სელეშის პირველი მეტოქე ამერიკელი ან გროსმანი იქნება. მარტინესი (3) ეთამაშება სილვია ფარინას (იტალია), არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 4) — ადრიანა სერა-ძანეტის (იტალია), ჰუბერი (5) — გალა ლეონ-გარსიას (ესპანეთი), ნოვოტნა (6) — ვერონიკა მარტინეკს (გერმანია), მერი-ჯო ფერნანდესი (9) — იანა კანდარს (გერმანია) და ა.შ.

ირაკლი ნიწუა

## რაგბი

# ქვირად [illegible]



შაბათს, 22 ივნისს, სამხრეთ ნახევარსფეროში ერთბაშად სამი ტესტ-მატჩი იყო. მოულოდნელი არაფერი მომხდარა: მოიგეს იმათ, ვისი გამარჯვებაც არავის დაეეჭვებდა, თუმც კი ყველამ თავისებურად მიითვალა მორიგი გამარჯვება.

**ხოტორა ჯოშუა კრონფელდს სეზონის პირველი ნახევარი გაუცდა, მაგრამ სქოთებს ორი ლელო მაინც გაუტანა**

### ზელანდია — შოტლანდია (17) 36-12 (7)

მეორე ტესტი. ოქლენდი, იდენ პარკი

35 ათასი მაყურებელი

ზელანდია: ქალენი; ვილსონი, ბანსი, ლითლი, რაში; მერთენსი, მარშალი; ბრაუნი, ფისთპატრიქი (კაპიტანი), დაუდი; რ. ბრუქი, ი. ჯოუნზი; მ. ჯოუნზი, კრონფელდი, ზ. ბრუქი. — 5ლ: საჯარიმო, ზ. ბრუქი, კრონფელდი (2), მ. ჯოუნზი; 4გ, ს: მერთენსი

შოტლანდია: შეპარდი; სთეინჯერი, ს. ჰეისთინგსი, ჯარდინი, ლოგანი; თაუნზენდი, არსმთრონგი; ჰილთონი, მაკქენზი, რაითი; ქრონინი, ვიარი; ვეინრათითი (კაპიტანი), სმითი, პიტერსი. — 2ლ: შეპარდი, პიტერსი; გ: შეპარდი

მსაჯი ერიქსონი (ავსტრალია)

ბურთაობა ერთობ ჭირდა, რადგანაც მოედანი ალაფებულიყო. ზელანდეიელებს აკლდათ ლომუ, ვინაც პირველ ტესტში მუხლი იტკინა და მაშინვე შვიდკაცას კარუზომ — ერიკ რაშმა შეცვალა. მის გარდა ზელანდიელებს შუამარბად ალედგინათ ლითლი, შოტლანდიელებს კი — სქოთ ჰეისთინგსი.

სქოთებმა კბილებით იომეს. ზელანდია შესვენებამდე ზერელედ თამაშობდა და ჯარიმდებოდა. უცნაური გადაწყვეტილებებით თავი გამოიჩინა ავსტრალიელმა მსაჯმა, ვინაც არმსთრონგი ადრევე დასაჯა საჯარიმო ლელოთი, მერე კი სქოთებს ორი ლელო გააუქმა.

ზედ შესვენების წინ ანგარიში გახსნა ზინზანმა (8 ნომერმა), ვინაც შერკინებიდან აილო ბურთი და კარსუკან დაამიწა. თამაში რომ განახლდა, ზელანდია დაირაზმა და მესამე ხაზელთა ძალისხმევით მეტოქეს ერთობ აჯობა. მასპინძელთა მწვრთნელი ჯონ ჰართი კმაყოფილი დარჩა როგორც შედეგით, ასევე თამაშის შინაარსით.

სქოთებმა ტურნეზე 8 თამაში გამართეს: 4 მოიგეს და 4 წააგეს. ტესტ-სერია ზელანდიამ 2-0 მოიგო, რაც არცაა გასაკვირი, ვინაიდან შოტლანდიას არასოდეს დაუმარცხებია „ოლ ბლექსი".

### ავსტრალია — უელსი (13) 42-3 (3)

მეორე ტესტი. სიდნეი, ფუთბოლ სთედიუმი. 35 784 მაყურებელი

ავსტრალია: ბერქი (ლარქემი *); ქემფიზი, როფი, ჰორანი, თიუნი *; ჰოვარდი, ჰეინი *; ჰარი *, კაპუტო (ფოლი (მანუ)), მაკქენზი (ქრაული); მორგანი, ილზი (კაპიტანი); ფინეგანი, ვილსონი, ბრაიალი * (* ახალბედა). — 6ლ: ფინეგანი, ბერქი, როფი, ფოლი, მორგანი, ჰორანი; 3გ: ბერქი (2), ილზი; 2ს: ბერქი

უელსი: პროქტორი; ევანსი, თომასი, დევისი (ჯეიმზი), ჰილი; ჯენქინსი, ჰაული; ლოუდერი, ჰამფრიზი (კაპიტანი), მუსთო; ჰლუელინი, ჯოუნზი; გიბსი, ვილიამსი, თეილორი. — ს: ჯენქინსი

მსაჯი ჰოქი (ზელანდია)

ავსტრალიას ძალზედ ძვირად დაუჯდა გამარჯვება: დაუშავდა ერთბაშად ოთხი კაცი, მათ შორის ორივე კვაჭი და ერთი ბურჯი, რის გამოც კვაჭად დადგომა მოუწია მანუს, ვინაც სხვაფრივ მესამე ხაზში თამაშობს. არადა, „ვოლაბებს" უკვე 6 ივლისს ახალი სამის სერიალის პირველი მატჩი ელით „ოლ ბლექსთან".

პირველი დაშავდა ვეტერანი ბურჯი იუან მაკქენზი, ვინაც მე-13 წუთზე კოჭი მოიტეხა. მერე კვაჭმა მარკო კაპუტომ დაიჭიმა კოჭის მყესები, მის შემცვლელს — ბლანწეიან მაიქლ ფოლის კი იდაყვი ელრძო. მცველმა მეთიუ ბერქმა კარგად ითამაშა, მაგრამ უხეიროდ ურტყა — 9-დან მხოლოდ ოთხი გოლი გაიტანა, 59-ე წუთზე კი საზარდული ეტკინა და გამოცვალეს.

თამაში 38-ე წუთზელა გახურდა, როცა ბერქი დაეუფლა თავისივე დარტყმას და დებიუტანტ ფინეგანს გაატანინა ლელო 13:3. სულ „ვოლაბთა" ახალმა მწვრთნელმა გრეგ სმითმა ამ თამაშში ხუთი ახალბედა გამოსცადა.

მერე და მერე „ვოლაბებმა" ერთობ დაიბრიყვეს უელსი და კიდევ 6 ლელო გაუტანეს. ქემფიზიმ 94-ე კეპი მიითვალა, ჰორანმა კი — მე-40, რაც ავსტრალიის ნაკრების შუამარბობის ახალი რეკორდია.

უელსმა ტურნეზე გამართული 8 თამაშიდან 5 წააგო. სერია აქაც 2-0 დასრულდა, თუმც კი ამჯერად ბრიტებს ასცდათ 1991 წლის ბადალი შერცხვენა: მაშინ ბრისბენში 6:63 რომ წააგეს, მატჩისშემდგომ ბანკეტზე ორ ჯგუფად დაიყვნენ და ერთმანეთს დაერივნენ.

### არგენტინა — საფრანგეთი (0) 27-34 (22)

პირველი ტესტი. ბუენოს-აირესი, ფეროკარილ ოესტე. 20 ათასი მაყურებელი

არგენტინა: კრისკოლო; ფისტერი, გარსია, დელკასიო (ლეგორა), სოლერი; სილეი, პიშო; გრაუ, პრომანსიო, რეხიარდო; სპორლედერი (კაპიტანი), სიმესი; მარტინი, კამერლინქსი, ბუზა. — 4ლ: გარსია (2), სოლერი, საჯარიმო; 2გ, ს: სილეი

საფრანგეთი: სადურნი; ნტამაკი, დურთი, კასტენიედი, სანტანდრე (კაპიტანი); პენო, აკოსებერი; კალიფანო, დერუემონი, ტურნერი; მერლი, რუმა; ბენეტონი (ლივრმონი), ბენაზი, პელუ. — 5ლ: ნტამაკი (2), სანტანდრე, დურთი, კასტენიედი; 3გ: დურთი (2), კასტენიედი; ს: დურთი

ფრანგები ტურნეზე პროვინციულ თამაშთა შედეგს დიდად არ დაგიდებენ, სამაგიეროდ ტესტებისთვის გარდაისახებიან ხოლმე. აი, ახლაც, შანსიც კი არ დაუტოვეს „პუმებს" და ერთი პირობა 27:0-ც უგებდნენ. არგენტინამ დასკვნით 25 წუთშილა გამოიღო ხელი.

მეორე ტესტი შაბათს გაიმართება. ფრანგებს ძველი დროება გაუხსენებიათ და ტურნეზე მუდმივი ნომრებით თამაშობენ: რუმა 10 ნომერია, ბენაზი — 11, ნტამაკი — 21, სადურნი — 28; კასტენიედი კი — 30.

**შაბათს** კიდევ ერთი ტესტია: ავსტრალია ბრისბენში მასპინძლობს კანადას. ქვინზლენდის „ბ" ნაკრებთან წაგების შემდეგ „ნეკერჩხლებმა" ოთხშაბათს ნიუკასლში 19:44 წააგეს ახალ სამხრეთ უელსთან, ვისაც „ვოლაბები" აკლდა, შაბათს კი ადელაიდაში რის ვაი-ნაჩრობით 19:13 (9:13) მოუგეს უმაჩანჩალეს სამხრეთ ავსტრალიას.

ზაზა კირკიტაძე



დამსახურებულ ვეტერან მაკქენზის კოჭი მოტყდა

## მძლეოსნობა



# ჯონსონი არა ხუმრობს

ამერიკელი სპრინტერი მაიქლ ჯონსონი ატლანტაში უმაგალითო დუბლს გეგმავს — 400 მეტრზე სირბილშიც უნდა გაიმარჯვოს და 200 მეტრზეც. ერთ წრეზე სირბილში ჯონსონი უკვე ნაკრების წევრია, პარასკევ-შაბათს კი გადასარევად ირბინა 200 მეტრზე შესარჩევი შეჯიბრის მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში.

ჯონსონს ნახევარფინალში მძლეოსნობის ისტორიაში მეორე შედეგი 19,70 წამი ალმოაჩნდა, მაგრამ ისევე როგორც ამერიკელი ლეროი ბარელის 1990 წლისეული 19,61, მაიქლის შედეგიც ზურგქარის გამო არ ჩაითვალა მსოფლიო რეკორდად, რომელიც 19,72 წამია, იტალიელ პიეტრო მენეას ეკუთვნის და 1979 წლის 12 სექტემბერს მეხიკო-სითიშია დამყარებული.

ჯონსონს არ ჩამორჩნენ კანადელი სპრინტერები — დონოვან ბეილი და ბრუნი სურინი, მარშანდელ მსოფლიო პირველობაზე 100 მეტრზე სირბილში პირველი და მეორე ადგილები რომ დაიჭირეს. მონრეალში მიმდინარე კანადის ნაკრების შესარჩევ შეჯიბრში ბეილიმ (9,98) ისევ აჯობა სურინს (10,03). ატლანტის მესამე საგზური გლენროი გილბერტს ერგო.

ატლანტაშივე, ოთხი წლის წინანდელი შერცხვენისათვის თავის თავს გადაუხადა სამაგიერო ათჭიდელმა დან ობრაიენმა. მან მაშინ ჭოკით ხტომისას საწყისი სიმაღლე ვერ დაძლია და ბარსელონაში მისაველენ გუნდში ვერ მოხვდა, ამჯერად კი თავი არ დაუზოგავს და თუმც თავისსავე მსოფლიო რეკორდს ვერ შენედა, დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი.

რეზო ნემსაძე

## კრივი

# ვერა შეჯდა შულცი ხესა

გერმანელი მძიმეწონოსანი აქსელ შულცი ვერაფრით გახდა საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი. შულცმა შაბათს, დორტმუნდში ისევ ქულებით და ისევ არაერთხმად წააგო ამერიკელ მაიქლ მორერთან, ვინაც თავის დროზე დაამარცხა ევანდერ ჰოლიფილდი და ჩემპიონი შეიქნა, მაგრამ მერე წააგო ჯორჯ ფორმენთან. მერე ეს ბებერი მღვდელი შულცმა სცემა, მაგრამ არ ჩაუთვალეს, ამის მერე უკვე თავად ფორმენმა ნებით დათმო ტიტული, მისთვის ჩხუბში კი შულცი სცემა სამხეთაფრიკელმა ფრანს ბოთამ, მაგრამ ამას დოპინგის ხმარება დაუდგინეს და წოდებაც ჩამოართვეს, რის გამოც დაინიშნა დორტმუნდის შერკინება, რომლის ამბავსაც დაწვრილებით ხვალინდელ „სარბიელში" იხილავთ.

ფოტოზე: მაიქლ ჯონსონი იენ მაიქლის მიერ დახატულ მისსავე პორტრეტთან იწონებს თავს


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ყოველდღე, კვირის გარდა. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რა[illegible]შვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29